საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 20 მარტის =77 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სენატის წევრად სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან პროფ. დარეჯან თევზაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის სენატის წევრად სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან პროფ. დარეჯან თევზაძის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 20 მარტის =77 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 10 თებერვლის NMES 4 15 00094736 წერილისა და და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 9 თებერვლის N82 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას, იანვარსა და თებერვალში გამოყოფილი ასიგნებები 207 600 ლარს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 207 600 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიწეროს პროგრამულად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს;

2. 2015 წლის 25 იანვრის N147-2015-2 ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, ითვალისწინებს ხელბურთის შემდგომ პოპულარიზაციასა და განვითარებას. სახელშეკრულებო დაფინანსება 50 000 ლარს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 50 000 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს „ხელბურთის პოპულარიზაცია და განვითარება“ პროგრამით ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

3. სამეცნიერო კვლევებზე გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (შეადგენს 90 000 ლარს, ხელმძღვანელი თ. აგლაძე), რომელიც გაწერილია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვაში, განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილება, კერძოდ საქონელი და მომსახურების მუხლის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, რომელიც არ კლასიფიცირდება პუნქტიდან, 7 030 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

3.1. ეთხოვოს პროფ. თ. აგლაძეს კვლევის შედეგები, მისი დასრულების შემდეგ, სენატს წარუდგინოს ინფორმაციის მიზნით;

4. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, საკონსულტაციო-სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმანის მომსახურების ხარჯებიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

5. სსიპ — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და აიოვას უნივერსიტეტთან, ქართულ-ამერიკული აგრარული საბაკალავრო პროგრამების პროექტიდან გამომდინარე, განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილება როგორც პროექტის ხარჯთაღრიცხვაში, ასევე ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ: წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 841 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში; საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმანის მომსახურების ხარჯებიდან 72 000 ლარი — შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 52 230 ლარი — არაფინანსური აქტივების მუხლის არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

6. 2014 წელს ევროკომისიასთან გაფორმებული ხელშეკრულების TEMPUS IV პროექტის N543904 TEMPUS-1-SPCR ფარგლებში სტუ არის თანადამფინანსებელი ორგანიზაცია - 13 500 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯებიდან გამოიყოს 13 500 ლარი, რომელიც გათვალისწინებულია სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, სხვა დანარჩენი ხარჯების პუნქტში და გადატანილ იქნეს 6 000 ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 6 500 ლარი — მივლინების მუხლში; 1 000 ლარი — საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის პუნქტში.

7. სტუ-ის ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების მუხლის, კომპენსაციის პუნქტიდან 84 153 ლარი გადატანილ იქნეს ამავე მუხლის დანამატის პუნქტში;

7.1. ეთხოვოს სტუ-ის რექტორს აღნიშნული თანხის საჭიროების მიხედვით განაწილების საკითხი გადაწყვიტოს სტუ-ის რექტორატის სხდომაზე;

7.2. ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მოამზადოს შესაბამისი დებულება დანამატებისა და კომპენსაციების შესახებ;

8. სტუ-ისა და ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ N294299 პროექტს (ხელმძღვანელი პ. კერვალიშვილი), ანგარიშზე ჩარიცხული თანხების კონვერტაციის შედეგად, დაერიცხა დივიდენდი, რომელიც 10700 ლარს შეადგენს და ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვის დეპოზიტიდან ასახულია შემოსავლების გრაფაში. პროექტის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ირკვევა აღნიშნული შემოსავლიდან საბეჭდი მოწყობილობის შეძენის აუცილებლობა, რომლის ღირებულებაც 9095 ლარს შეადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობის დეპოზიტიდან შემოსავლების გრაფაში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 9095 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის **20** მარტის **=77** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი, საქართველოს მოქალაქის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, სტუდენტებისათვის სწავლის გადასახადის ოდენობის შემცირების შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანთმშენებლობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტებს, მამედ გაჯიევსა და გელა ხალვაშს, რომელთაც მიიღეს საქართველოს მოქალაქის სტატუსი, შეუმცირდეს სწავლის გადასახადის ოდენობა 3 400 ლარიდან 2 250 ლარამდე.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 20 მარტის =77 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე პროფ. იური ლომიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „განახლებადი ენერგეტიკის ტექნოლოგიების კვლევისა და დანერგვის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 14 იანვრის დადგენილება №1395.

სენატმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „განახლებადი ენერგეტიკის ტექნოლოგიების კვლევისა და დანერგვის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება;
2. ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნოს ბატონი ალექსანდრე მოსეშვილი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 20 მარტის =77 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე პროფ. გელა ღვინეფაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ,,ადამიანის პარანორმალური შესაძლებლობების კვლევის სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 თებერვლის დადგენილება №1440.

სენატმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ,,ადამიანის პარანორმალური შესაძლებლობების კვლევის სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება;
2. ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფ. გელა ღვინეფაძე.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის **20** მარტის **=77** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **=6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე ბატონმა მერაბ ჟურულმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სამთო-მეტალურგიული სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 თებერვლის დადგენილება №1442.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სამთო-მეტალურგიული სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 20 მარტის =77 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე პროფ. გიგა ქვარცხავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ,,საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 თებერვლის დადგენილება №1447.

სენატმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ,,საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნა და მისი დებულება;
2. აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფ. ნინო ჩხარტიშვილი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 20 მარტის =77 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე პროფ. გ. ქვარცხავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის რაჭის ინსტიტუტის შექმნის, მისი სტრუქტურისა და დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 თებერვლის დადგენილება №1448.

სენატმა დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 თებერვლის დადგენილება №1448 სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტთან რაჭის ინსტიტუტის შექმნის შესახებ.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის რაჭის ინსტიტუტი განახორციელებს შემდეგ პროფესიულ და საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამებს:
   ა) აგრარული ტექნოლოგიები;
   ბ) სასურსათო ტექნოლოგია;
   გ) სატყეო საქმე;
   დ) მეცხოველეობა;
   ე) აგრონომია.
3. დამტკიცებულ იქნეს სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის რაჭის ინსტიტუტის წარმოდგენილი სტრუქტურა და დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის **20** მარტის **=77** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **20** მარტის **=77** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუდენტურ კულტურულ-თვითშემოქმედებით მუსიკალურ კონკურს ,,სტუსტარში" გამარჯვებული სტუდენტების სწავლის საფასურიდან სრულად და ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ.

სენატმა დაადგინა: ცნობად იქნეს მიღებული წარმოდგენილი საკითხი სტუდენტურ კულტურულ-თვითშემოქმედებით მუსიკალურ კონკურს ,,სტუსტარში" გამარჯვებული სტუდენტების სწავლის საფასურიდან სრულად და ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ, კერძოდ:

- I ადგილი - გიორგი მაღრაძე – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, 2 250 ლარი;
- II ადგილი - გიორგი მუმლაძე – სამშენებლო ფაკულტეტი, 1 125 ლარი;
- II ადგილი - სალომე ქოქიაური – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, 1 125 ლარი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე